ანოტაცია

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში, განხილულია კახეთის კავკასიონის სამხრეთი ფერდობის იურული ეპოქის გეოლოგია და დეტალურად არის დახასიათებული ვულკანიზმი სტორი-ქვაჩადალას შუამდინარეთის მაგალითზე. ქვედა იურული პერიოდი აღნიშნავს მნიშვნელოვან გეოლოგიურ ეპოქას, რომელიც ხასიათდება ფართო ტექტონიკური და ვულკანური აქტივობით. შესაბამისად, ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან:

პირველ - ზოგად ნაწილში განხილულია ალაზანგაღმა კახეთის გეოლოგიური შესწავლილობის ისტორია და მოცემულია მისი ანალიზი. დახასიათებულია რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, გეოტექტონიკური თავისებურებანი და განხილულია პლიკატური და დიზუნქტიური ტექტონიკის როლი რეგიონის ვულკანურ-დანალექი კომპლექსის ფორმირებაში.

მეორე ნაწილი - ვულკანიზმის ეფუზური და სუბვულკანური დერივატების დეტალურ საველე და კამერალურ შესწავლას ეძღვნება. მოტანილია სტორის, სამყურის წყლისა და ქვაჩადალას ჭრილების მასალა, საკვლევი კომპლექსის დეტალური საველე დახასიათებითა და მათი დეტალური პეტროლოგიურ-პეტროქიმიური დახასიათებით.

ვულკანიტების საველე, მაკროსკოპული და მიკროსკოპული შესწავლით აგრეთვე მათი სინჯების სილიკატური ანალიზის მონაცემებითა და საკლასიფიკაციო $Na_2O+K_2O-SiO_2$ დიაგრამაზე ფიგურული წერტილების განლაგების ინტერპრეტაციით დგინდება, რომ შესწავლილი ვულკანური კომპლექსი სუბტუტედან-ტუტე ბაზალტებისაკენ გარდამავალ სერიის ქანებს მიეკუთვნება.

ნაშრომი მთავრდება დასკვნებითა და დამოწმებული ლიტერატურის სიით.